# როდესაც თქვენგან ვინმე მეჯლისში (საერთო შეკრებაზე) მივა, დაე მიესალმოს დამსწრეებს. და როცა მოისურვებს წამოსვლას, კვლავ მიესალმოს. რადგან პირველი სალამი არ არის უფრო უფლებიანი, ვიდრე უკანასკნელი

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «როდესაც თქვენგან ვინმე მეჯლისში (საერთო შეკრებაზე) მივა, დაე მიესალმოს დამსწრეებს. და როცა მოისურვებს წამოსვლას, კვლავ მიესალმოს. რადგან პირველი სალამი არ არის უფრო უფლებიანი, ვიდრე უკანასკნელი».
[კარგი (ჰასან)] [გადმოსცა აბუ დაუდმა, ალ-თირმიზიმ, ალ-ნასაიმ ალ-ქუბრაში და აჰმადმა]

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გააფრთხილა, ვინც მივა ხალხის თავშეყრის რომელიმე ადგილას მიესალმოს მათ, როდესაც წამოდგება და წასვლას დააპირებს იქ მყოფ ხალხს ასევე სალამით გამოემშვიდობოს, მოსვლის დროს მიცემული პირველი მისალმება უფრო უკეთესი არ არის, ვიდრე წასვლის დროს მიცემული სალამი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3173